HISTORICAL-ETHNOGRAPHIC ESSAYS AND SERGI MAKALATIA

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები და სერგი მაკალათია

KETEVAN BARBAKADZE
Doctor of Pedagogical Sciences
Associated Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St. 1400, Gori, Georgia
+995577151211, qbarbakadze@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-8706-2102

TAMAR GOGOLADZE
Doctor of Philology,
Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St., 1400, Gori, Georgia
+995577251272, tamilagogoladze@gmail.com
https://orcid.org/0000-0003-0450-2924

Abstract. One of the earliest graduates of the Philosophy Faculty of Tiflis State University, Doctor of Historical Sciences and professor Sergi Makalatia (1893–1974), made an immense contribution to the study of the history and ethnography of various regions of Georgia. It is particularly significant that he left for future generations a large body of material gathered during numerous expeditions. Alongside his historical works, he shaped the genre of historical-ethnographic essays ("Meskhet-Javakheti", "Ateni Gorge", "Borjomi Gorge", "Ksani Gorge") and works that, despite lacking the secondary title "Historical-ethnographic Essays," follow the same model ("Kavtura Gorge", "Dzama Gorge", "Phrone Gorge", "Liakhvi Gorge", "Lekhura Gorge"), as well as major scholarly studies ("Mtiuleti", "Khevi", "Tusheti", "Pshavi", "Khevsureti", "Mountains of Racha", and "The History and Ethnography of Samegrelo"). The importance of the above-mentioned works is even greater considering that the researcher and ethnographer, who devoted forty years of dedicated service to the field of local history, was simultaneously the founder of the Gori N. Baratashvili State Pedagogical Institute and several museums (in Gori, Mestia, Tsageri, Kaspi and Stepantsminda). He investigated archaeology, numismatics and art, and his writings preserve a wealth of now-forgotten ethnographic material (especially from Abkhazia and Samachablo).

The aim of the article is to once again draw the attention of historians and ethnographers to the significance of S. Makalatia's "Historical-Ethnographic Essays" from various regions.

Keywords:. Ethnography, history, gorge, historical-ethnographic essay.

ქეთევან ბარბაქაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-8706-2102

თამარ გოგოლაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995577251272, tamilagogoladze@gmail.com
https://orcid.org/0000-0003-0450-2924

აბსტრაქტი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ერთ-ერთმა პირველმა კურსდამთავრებულმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა სერგი მაკალათიამ (1893-1974) უზარმაზარი წვლილი შეიტანა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პუბლიკაციები ექსპედიციების შედეგად შეგროვილი მასალის სახით რომ დაუტოვა შთამომავლობას. ისტორიული თხზულებების გარდა, მან დაამკვიდრა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევის ჟანრი (,,მესხეთ-ჯავახეთი'', ,,ატენის ხეობა'', ,,ბორჯომის ხეობა'', ,,ქსნის ხეობა'') და შრომები, რომლებსაც არ აწერია მეორე სათაურად ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები'' (,,კავთურას ხეობა'', ,,ძამის ხეობა'', ,,ფრონის ხეობა'', ,,ლიახვის ხეობა'', ,,ლეხურის ხეობა''), ასევე, ფუნდამენტური გამოკვლევები (,,მთიულეთი'', ,,ხევი'', ,,თუშეთი'', ,,ფშავი'', ,,ხევსურეთი'', ,,მთის რაჭა'', ,,სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია''). ზემოდასახელებული ნაშრომების მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რამეთუ მკვლევარი, ეთნოგრაფი, რომელიც 40 წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა მხარეთმცოდნეობის საზოგადოებას, იყო ამავე დროს გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და მუზეუმების (გორში, მესტიაში, ცაგერში, კასპსა თუ სტეფანწმინდაში) დამაარსებელი. იკვლევდა არქეოლოგიას, ნუმიზმატიკასა და ხელოვნებას, მისი ნაშრომები შეიცავს ბევრ, აწ უკვე დავიწყებულ, უმდიდრეს ეთნოგრაფიულ მასალას (განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში).

სტატიის მიზანია ისტორიკოსთა თუ ეთნოგრაფთა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენოს სხვადასხვა რეგიონების ს. მაკალათიას ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევების'' მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, ისტორია, ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი.

შესავალი. ჯერ კიდევ თავის ერთ-ერთი პირველი ნაშრომის ,,ფშაური წაწლობა და ხევსურული-სწორფრობა (1925) წინასიტყვაობაში ახალგაზრდა მეცნიერი სერგი მაკალათია (1893-1974) გამოთქვამდა გულისტკივილს, რომ ნაკლები ყურადღება მიექცა ფშავსა და ხევსურეთში გავრცელებულ წესს, რომელსაც ,,უაღრესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიის და მისი უძველესი სოციალური წეს-წყობილების გამოსაკვლევად'', ,,სწორედ გაუგებარია, რომ ისეთი ქართველი მოღვაწეებიც, როგორც რ. ერისთავი, ნ. ურბნელი, დ. ხიზანიშვილია, რომლებმაც ამ კუთხეს ვრცელი და საუკეთესო ეთნოგრაფიული წერილები კი უძღვნეს, მაგრამ წაწლობა-სწორფრობაზე სრულიად სდუმან'' (მაკალათია, 1925: 3). როგორც ეთნოლოგიის საფუძვლების ავტორი სოსო ჭანტურიშვილი შენიშნავს, ,,ს. მაკალათია იკვლევდა საქართველოს ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ნუმიზმატიკისა და ხელოვნების საკითხებს. უაღრესად მნიშვნელოვანია მის მიერ შეკრებილი მასალები. ისინი შესწავლილი და გამოქვეყნებულია მისსავე მრავალრიცხოვან შრომებში, რომლებიც ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს ეხებიან'' (ჭანტურიშვილი, 2005: 124). და აი 1923 წლიდან სერგი მაკალათია მუშაობს (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროს მეცნიერ მუშაკად) იწყებს ექსპედიციებს ჯერ აბაშიძის რაიონიდან, ხოლო 1923-39 წლებში ჩხოროწყუს, წალენჯიხის, მარტვილის, ზუგდიდის, ხობის, გალისა თუ სენაკისა და ოჩამჩირის რაიონებში, შეისწავლა ისტორიული ძეგლები, ჩაიწერა ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა და 1941 წელს გამოსცა ,,სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია'' (მეორედ გამოიცა 2006 წელს).

სწორედ სამეგრელოს აღწერა იქცა თითქმის უნიკალურ გამოცემად, მიტაცებული ნაწილების ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად.

ამ ნაშრომამდე ,,არ მოგვეპოვებოდა ქართულ ენაზე სამეგრელოს შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი'', რასაც ს. მაკალათია ამართლებს, რომ საჭიროა ახლაც საფუძვლიანი ცოდნა საქართველოს ისტორიული წარსულისა და ყოფაცხოვრებისა. ეთნოგრაფი მოკრძალებით აღნიშნავს: ,,ის ჩვევები და წესები, რომლებიც ჩვენ ნარკვევშია მოთავსებული დღეს უკვე არ სრულდება თავისი ძველი სახით, მაგრამ პირადი ნანახისა და დაკვირვების საშუალებით და აგრეთვე მოხუცების გამოკითხვით შევძელით ძველი ყოფის დამახასიათებელი ადათ-ჩვევების დადგენა.

რასაკვირველია, ჩვენი ეს შრომა არ არის სრულყოფილი და ამით არ ამოიწურება სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მდიდარი წარსული. ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი და ფართო მეცნიერული კვლევისა, რომლის მთავარ ობიექტად ახლო მომავალში სამეგრელო უნდა გადაიქცეს'' (მაკალათია, 1941, 6).

დაუღალავმა მკვლევარმა ს. მაკალათიამ სამეგრელოს პარალელურად მოიარა მთიულეთი და გამოსცა კიდეც მონოგრაფიად 1930 წელს. 1934 წელს მან გამოსცა ,,ხევი'', ასევე საყურადღებოა მაკალათიას ,,მთის რაჭა'', რომელშიც ბევრი ფოლკლორული მასალა შევიდა.

ძირითადი საკითხი, რომელიც ჩვენ სტატიას შეეხება, არის ს. მაკალათიას ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები''. გვინდა გავარკვიოთ როგორი მეთოდებით სარგებლობდა ეთნოგრაფი, რა საშუალებებს იყენებდა, საჭიროა გაირკვეს მათი მნიშვნელობა და მიზნები რეგიონებში ეთნოგრაფიული მასალის მომავალი აღნუსხვა-დაფიქსირებისათვის.

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულ იქნა ისტორიულ-შედარებითი და ანალიზის მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. ს. მაკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიულად შესწავლილი საქმიანობა მისი ცხოვრების მიზანი იყო. მისი ექსპედიციები (ეთნოგრაფიული,

არქეოლოგიური) ემსახურებოდა ქვეყნის ისტორიული წარსულის საფუძვლიან კვლევას, რაც არ შეწყვეტილა სიცოცხლის ბოლომდე, იგი, ამავდროულად, უვითარებდა, რა ისტორიულ ძეგლის აღნუსხვა-ფიქსირების უნარ-ჩვევებს, ასწავლიდა თავის სტუდენტებს პრაქტიკულადაც. ბოლო წლებში ლეხურის, ლიახვის ხეობების შესწავლისას ექსპედიციებში მან ჩართო ისტორიული სპეციალობის სტუდენტი გივი ლაშქარაშვილი, რომელიც შემდგომ საყვარელი პედაგოგის გზას გაჰყვა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ისტორიის განხრით. ასევე რთავდა თავის მიერ დაარსებული გორის სახელმწიფო-ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმის მუშაკებს (ს. ნადიმაშვილს, მ. ხუციშვილს, კ. კოშუაშვილს და სხვ.) ძირითადად ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ ექსპედიციებში, რომლის მასალები ინახება მისივე სახელის მატარებელი მუზეუმის ფონდებში. ამ მასალებს სერგი მაკალათია ამუშავებდა და წიგნებად გამოსცემდა საკუთარი ძველთაძველი, ,,ერთგული მეგობრის'' ფოტოაპარატის კადრებით, ხოლო წარწერების, საგნების, საფლავების ნახატებს თვითონ ასრულებდა მეტად ნატიფად, რასაც ერთი-ორგან წიგნების წინასიტყვაობაშიც აღნიშნავს - მაგ.: ,,წიგნში მოთავსებული შეასრულეს ლ. წილოსანმა და ლ. ხუციშვილმა'' (მაკალათია, 1941: 7) სხვაგან კი ,,წიგნში მოთავსებული ფოტო-სურათები და ნახაზები შესრულებულია ჩემ მიერ'' (მაკალათია, 1938: 6).

წინასიტყვაობაში ზოგგან აღნიშნულია, ვინ ჩაიწერა ფოლკლორული მასალა და ზოგგან ვისგან: ,,ფოლკლორისტული მასალა ჩაწერილია ექსპედიციის წევრის ილია მაისურაძისა და გიორგი გოგოლაძის მიერ'' (მაკალათია, 1938: 6). ერთგან ,,ხევის'' შესავალში მის წიგნს მიძღვნაც ახლავს თან: ,,ამ წიგნს ვუძღვნი მყინვარწვერზე დაღუპული მეგობრის შოთა მიქელაძის ხსოვნას'' (მაკალათია, 1934: 3).

საყურადღებოა შევნიშნოთ, რომ ს. მაკალათიას მოღვაწეობა დასაწყისში, 1938 წლამდე, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შრომებს არ აწერს ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევს''. მაშინ, როდესაც ორივე (ისტორიული, ეთნოგრაფიული) შედის ამ პუბლიკაციებში. მხოლოდ 1938 წელს გამოცემულ ,,მესხეთ-ჯავახეთს'' აწერს პირველად ამ სათაურს - ისტორიულ-ეთნოგრაფიული''. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ოთხი ნაშრომის - ,,ატენის ხეობა'' (1957), ,,ბორჯომის ხეობა'' (1957), ,,თეძმის ხეობა'' (1959) - ქვესათაურშია ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი'', თუმცა, შემდეგ გამოდის ,,კავთურას'' ხეობა'' (1960), ,,ძამის ხეობა'' (1961), ,,ფრონის ხეობა'' (1963), ,,ლეხურის ხეობა'' (1968) და ფაქტიურად უკანასკნელი ნაშრომი, ,,ლიახვის ხეობა'' (1971) ,,ნარკვევის'' მინაწერის გარეშე.

ტერმინი ,,ნარკვევი'' იხმარება დოკუმენტური ჟანრის აღსანიშნავად ლიტერატურულ-ჟურნალისტურ ტექსტებში. ვფიქრობთ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულის ნარკვევის მინიშნებით ქვესათაურად გამოყენება, მაინც, გარკვეულწილად,, ,,სოცრეალიზმის კონიუნქტურული ჩარჩოს'' აუცილებლობიდან იყო გამოწვეული, რამდენადაც ძალზე ცოტაა ეთნოგრაფიული მონაკვეთები ,,კავთურას'', ,,ძამის'', ,,ფრონის'', ,,ლეხურის'' ხეობებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში. სარჩევში ასეა წარმოდგენილი: ,,გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა'', ,,მატერიალური კულტურის ძეგლები'', ,,შრომა-საქმიანობა''. ამ უკანასკნელში ზოგგან არის ეთნოგრაფიული მინიშნება და ესეც მიჩნეულია გადმონაშთად (შელოცვის, დალოცვის, ხატობა-დღეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას). მაგ.: ,,მათ (გლეხებს) ბრძოლის სხვა საშუალება არ გააჩნდათ, გარდა ცრუმორწმუნეობისა და ბეჩავი გლეხიც ჭირნახულის მეტი დოვლათიანობისათვის სხვადასხვა რიტუალს ასრულებდა: ჯერ გამართავდა ,,ბოსლობას'' და დაილოცებოდა კარგ მოსავალზე, თან მოაბნევდა ხორბლის მარცვალს, ვითომ ყანა რომ არ გაეფუჭებინა, ასრულებდა ,,ჩიტაფოთობას'' და სხვ.'' (,,ლეხურის ხეობა'') (მაკალათია, 1964: 51).

მაშინ, როდესაც სამეგრელოს ისტორიასა და ეთნოგრაფიაში საოცარი სკურპულოზობითაა წარმოდგენილი თვით სარჩევშიც კი (სოფლის მეურნეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, კვება, ფეიქრობა, მეჭურჭლეთობა, კალათების დამზადება,

ყავრის დამზადება მჭედლობა, ტანჩაცმულობა, სახლებიც, ნიშნობა და ქორწილი, მშობიარობა, გართობანი, მიცვალებულის გასვენება, ტირილი და გლოვა). ცალკეა გამოყოფილი ცრუმორწმუნეობა - კალანდა ჯეგემისარონი სალოცავები, ,,ოხვამერი'' ასოთსამღერელი ,,ვაშინერსი'', შელოცვები. დღესასწაულები, რომელსაც ავტორი ახასიათებს როგორც ,,საკულტო ადგილებსა და მათთან დაკავშირებულ რიტუალს'': ილორობა, ალერტობა, ყულის კარი, წახური, ჭვენიერობა თერდობა. აქვე ავტორი იხილავს გვარების წარმომავლობასაც.

,,ატენის ხეობაში'', რომელსაც მიწერილი აქვს ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი'', შრომა-საქმიანობის'' განყოფილებაში ჩამოთვლილია ახალი წლის რიტუალი, ყეენობა, ბერიკაობა, ჭონა, გართობა-თამაშობანი, დარალი. ეს ,,ნარკვევი'' 1957 წელსაა გამოცემული და თუმცა, ჩამონათვალის აღწერა ეთნოგრაფიული ნაწილისა თითქმის დეტალურია, მაინც, ცრუმორწმუნეობად ჩაუთვლია ავტორს.

აშკარაა გაბედული მკვლევარი, რომლისთვისაც ზოგჯერ აკრძალვებიც მიუსჯიათ, მაინც ფრთხილობდა, მაგრამ, რაც წარმოადგინა ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევებსა'' თუ სხვა ნაშრომებში, საოცრად ზუსტია, დეტალიზებული.

,,XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართული ეთნოლოგია კვლევისას იყენებს საველე მუშაობის ე.წ. კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდს, რომელიც აგერ თითქმის 70 წლის განმავლობაში მკვლევარ-ეთნოგრაფთა რამდენიმე თაობის მანძილზე დაიხვეწა, ახალი შინაარსით შეივსო და ახალი ფორმებისა და ხერხების გამოყენებით გამდიდრდა'' (ჭანტურიშვილი, 2005: 11). ს. მაკალათიას მეთოდიც საველე მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარეობს.

დასკვნა. ს. მაკალათიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში ფასდაუდებელია. მის მასალებში და განსაკუთრებით ,,ისტორიულ ეთნოგრაფიულ ნარკვევებში'' გამოირჩევა მკვლევარის უტყუარი ალღო და იმ აზრის ჭეშმარიტება, რომ საქართველოს მოსახლეობა ძირითადად ამა თუ იმ მდინარის ხეობაში სახლდებოდა და ვითარდებოდა. ისტორიულ ეთნოგრაფიული ნარკვევების ისტორიული ნაწილი ჩვენს სტატიაში არ წარმოგვიდგენია, რადგან 21-ე საუკუნეში როგორც მსოფლიო, ისე ქართულ ისტორიოგრაფიაში უზარმაზარი აღმოჩენების წყალობით ზოგი ფაქტი თუ მოვლენა გადაფასდა, მაგრამ ეთნოგრაფიული კვლევის ს. მაკალათიასეული მეთოდები, ჩვენი აზრით, იყო და არის ფასეული, უნიკალური და მკვლევართათვის საჭირო და მისათითებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

მაკალათია, ს. (1941). *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია.*

მაკალათია, ს. (1925). *ფშავური წაწლობა და სწორფრობა.* პოლიგტრესტის ფედერაცია. ტფილისი.

მაკალათია, ს. (1938) *მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი).* ფედერაცია.

მაკალათია, ს. (1934). *ხევი.* ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. სასწავლო პედაგოგიური სექტორი.

მაკალათია, ს. (1964). *ლეხურის ხეობა.* თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო".

მაკალათია, ს. (1957) *ატენის ხეობა.* თბილისი: სახელგამი.

ჭანტურიშვილი, ს. (2005) *ეთნოლოგიის საფუძვლები.* თბილისი.

REFERENCES

mak'alatia, s. (1941). *samegrelos ist'oria da etnograpia [History and Ethnography of Samegrelo].*

mak'alatia, s. (1925). *pshavuri ts'ats'loba da sts'orproba [Pshavian Tsatsloba and Stsorproba].* Polygtrust Federation. Tiflis.

mak'alatia, s. (1938) *meskhet-javakheti (ist'oriul-etnograpiuli nark'vevi) [Meskhet-Javakheti, (Historical-Ethnographic Essay)].* Federation.

mak'alatia, s. (1934). *khevi [Khevi].* Tiflis: State Publishing House, Educational Pedagogical Sector.

mak'alatia, s. (1964). *lekhuris kheoba [Lekhura Gorge].* Tbilisi: Publishing House,,Sabchota Sakartvelo".

mak'alatia, s. (1957) *at'enis kheoba [Ateni Gorge].* Tbilisi: Sakhelgami.

ch'ant'urishvili, s. (2005) *etnologiis sapudzvlebi [Fundamentals of Ethnology].* Tbilisi.